განკარგულება:**g-31.31221792**
თარიღი:**28/06/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №41

2022 წლის 28 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით განსაზღვრული ვადის შემცირება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი